F75 N 1507

პროლეტარიელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 1 მაისი, 1952 წ. № 104 (9264). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

დიდება დიდ სტალინს!

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ვიცე-ადმირალი ნ. კუზნეცოვი

ბრძანება
სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა
№ 42

1952 წლის 1 მაისი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი საბჭოთა არმია დღესასწაულობენ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეული დიდი გამარჯვებებით აღვნიშნავთ ჩვენ ამ დღეს.

მოგესალმებით და მოგილოცავთ პირველი მაისის დღეს და ვუსურვებ საბჭოთა არმიის მთელ პირად შემადგენლობას მომავალი ზაფხულის სწავლების პერიოდში კიდევ უფრო მტკიცედ გაუმჯობესოს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, განუწყვეტლივ დაეუფლოს იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს დისციპლინა, აამაღლოს სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა.

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, პირველ მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი — ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს დიდ მასწავლებელსა და ბელადს, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს!**

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი

ბრძანება
სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა
№ 85

1952 წლის 1 მაისი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს სამხედრო მეზღვაურები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობენ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს.

ჩვენი სამშობლოს ხალხები, რომელთაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, პირველი მაისის დღეს ხვდებიან ახალი თვალსაჩინო წარმატებებით საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალები, ასრულებენ რა ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებებს, ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს საზღვაო ზღუდეებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე და პირველი მაისის დღესასწაულს აღნიშნავენ ახალი მიღწევებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

სამხედრო მეზღვაურთა ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო აამაღლონ გემებისა და ნაწილების სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა, ყოველდღიურად აუმჯობესონ თავიანთი მხედრული ოსტატობა, აღზარდონ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულნი, განამტკიცონ მხედრული დისციპლინა და დარაზმულობა.

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებაში.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ძლევამოსილ კომუნისტურ პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას!

დიდება ჩვენს დიდ და ბრძენ ბელადსა და მხედართმთავარს გენერალისიმუს ამხანაგ **სტალინს!**

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ვიცე-ადმირალი ნ. კუზნეცოვი

ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშით

დღეს პირველი მაისია — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე. პროგრესული კაცობრიობა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერებით აღნიშნავს ამ დღეს. მსოფლიოს ყველა კუთხეში მძლავრად გაისმის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღმაფრთოვანებელი სამაისო მოწოდების ხმა:

— ძმური სალამი აგრესორთა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ ყველა ხალხს!

მილიონობით უბრალო ადამიანის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი მშრომელის აზრი და გრძნობა მიმართულია საბჭოთა კავშირისაკენ — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისაკენ, რომელიც ბრძენი ბელადის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნიზმის დიად შენობას.

კაპიტალისტური სამყაროს მშრომელები, დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების უბრალო ადამიანები, რომლებიც კაპიტალის მონობის უღელს ატარებენ, ხედავენ, თუ რა დიდი განსხვავებაა მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემასა და სოციალისტურ სისტემას შორის, ექსპლოატაციაზე დაფუძნებულ შრომასა და თავისუფალ შრომას შორის. კაპიტალიზმი ნიშნავს მშრომელთა განუკითხავ ჩაგვრასა და გაჭირვებას, სოციალიზმი — ბედნიერი და საამური ცხოვრების დამკვიდრებას; კაპიტალიზმი იწვევს გარდუვალ ომებსა და ხალხთა გაჩანაგებას, სოციალიზმი — მშვიდობას და ხალხთა კეთილდღეობას.

მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას შეეძლო ასე მოკლე დროში მოეშუშებინა ომით მიყენებული ჭრილობები. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა დაძლია ყველა საშინელი სიძნელე, ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი და მოამზადა ნიადაგი კომუნიზმის დიად მშენებლობათა გეგმების განხორციელებისათვის. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც განუხრელად ზრუნავს მშრომელთა კეთილდღეობისათვის, ომისშემდგომ პერიოდში ხუთჯერ განახორციელა ცხოვრების გაიაფება, რითაც ჩვენმა ხალხმა სამასზე მეტი მილიარდი მანეთის მოგება მიიღო.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები დიდი სტალინის სიყვარულით შთაგონებულ შემოქმედებითს შრომას ეწევიან საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუდარიაზე — კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში — ყველგან იგრძნობა მთელი საბჭოთა ხალხის ცხოველმყოფელი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი ძალა და უძლეველობა.

მაღალი, კეთილშობილური მისწრაფებით ანთებული საბჭოთა ხალხი იძლევა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის დაუცხრომელი ბრძოლის, ხალხთა შორის მეგობრობის, მჩქეფარე სიცოცხლით სავსე, ბედნიერი და საამური ცხოვრების დამკვიდრების მისაბაძ მაგალითს.

საბჭოთა ხალხის გამოცდილების მიხედვით აწყობენ ცხოვრებას ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი. ისინი სოციალიზმის მშენებლობაში ახალი მიღწევებით, სახალხო-დემოკრატიული წყობილების შემდგომი განმტკიცების საამაყო მაჩვენებლებით აღნიშნავენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

დიდ მომავალს სჭედავს მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხი, რომელიც ფუშავს უცხოელ იმპერიალისტთა ავაზაკურ გეგმებს და აძლიერებს დახმარებას დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კორეელი ხალხისადმი.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკში უფრო და უფრო იზრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის როლი. გერმანელი ხალხის ბრძოლას ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის სულ უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ახლა, როცა ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები უხეშად ფეხქვეშ თელავენ მშრომელთა საარსებო ინტერესებს, როცა ისინი კვლავ გამაღლებით იარაღდებიან და ემზადებიან ახალი მსოფლიო ომისათვის, კიდევ უფრო ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბრძოლა ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ხალხები ისწრაფიან მოიშორონ მონობის უღელი. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან ვიეტნამელი, მალაველი, ბირმელი, ტუნისელი და აზიისა და აფრიკის სხვა დამონებული ხალხები. თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს თანაუგრძნობს მთელი პროგრესული კაცობრიობა. ყველა ქვეყნის მუშათა ძმობისა და სოლიდარობის განმტკიცება ახლანდელი საერთაშორისო ვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს, რომლებმაც თავი შეირცხვინეს კორეელი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ ომში, ახლა ბაქტერიოლოგიური იარაღით სურთ მშვიდობისმოყვარე ხალხთა დაშინება. მაგრამ ამას ვერ შეძლებენ. უძლეველია ხალხთა მისწრაფება მშვიდობისაკენ. მსოფლიოს ყველა ხალხს მშვიდობა სურს. მათ იციან, რომ „მშვიდობას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ“.

მშვიდობისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობის შემდგომი აღმავლობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ექვსას მილიონზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის საქმიანობას წარმართავს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა. დიდი საბჭოთა კავშირი მჭიდროდ რაზმავს და აღაფრთოვანებს მშვიდობის ძალებს, იგი ხალხთა მეგობრობის ბურჯი, მშვიდობის მტკიცე დასაყრდენია. მშვიდობის დიდი მედროშეა პროგრესული კაცობრიობის ბელადი გენერალისიმუსი სტალინი. დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელები კვლავ უდიდესი სიყვარულით და იმედით მიაპყრობენ თვალს დიდ სტალინს და უსურვებენ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეექვსე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეექვსე ტომი.

თარგმანი შესრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

ოცდამეექვსე ტომში შედის ვ. ი. ლენინის ის ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია 1917 წლის სექტემბრიდან 1918 წლის თებერვლამდე.

ტომში შესული ნაწარმოებების დიდი ჯგუფი მიძღვნილია ბოლშევიკური პარტიის მიერ ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებილ საკითხებისადმი. ასეთებია: „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება“, „მარქსიზმი და აჯანყება“, „კრიზისი მომწიფდა“, „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?“, „გარეშეს რჩევანი“, სადირექტივო წერილები პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებს. ამ ნაწარმოებებში, რომლებიც დაწერილია არალეგალობის ვითარებაში ვ. ლენინი ავითარებს მარქსის აზრს აჯანყებაზე, როგორც ხელოვნებაზე, და სახავს აჯანყების კონკრეტულ გეგმას.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლენინის მოხსენებებს, სიტყვებსა და გამოსვლებს საბჭოების ყრილობებზე, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს თათბირებზე, მოწოდებებსა და მიმართვებს მოსახლეობისადმი, რაც ცხადყოფს ლენინის, როგორც პარტიისა და მშრომელი მასების ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მოღვაწეობას საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ თვეებში.

ტომში შეტანილია საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტების პროექტები და დეკრეტები, რომლებიც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ და რომლებსაც ხელს აწერს ის როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: „დეკრეტი ზავის შესახებ“, „დეკრეტი მიწის შესახებ“, „მუშათა კონტროლის დებულების პროექტი“, „პროექტი დეკრეტისა გაწვევის უფლების შესახებ“, „პროექტი დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელების და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ“, „პროექტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ“ და სხვ.

ლენინის ბრძოლა ბრესტის ზავის დადების საკითხზე ტროცკისტებისა და „მეთარცხენე კომუნისტების“ პროვოკატორული, გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ ასახულია ნაწარმოებებში: „ზავზე მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტი“, „ბედუკუღმართი ზავის საკითხის ისტორიისათვის“ და გამოსვლები რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1918 წლის იანვარ-თებერვლის სხდომებზე და სხვა დოკუმენტებში.

ტომის მთელი რიგი ნაწარმოებები მიძღვნილია დამფუძნებელი კრების მოწვევისა და დათხოვნისადმი: „თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ“, „რსდმპ (ბოლშევიკების) ფრაქციის დეკლარაცია, გამოქვეყნებული დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1918 წ. 5 (18) იანვარს“, „იმქვეყნიური ადამიანები“ და სხვ.

ტომში შედის ნაწარმოებები: „ძველის კრახით დაშინებულნი და ახლისათვის მებრძოლნი“, „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ და „პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ“, რომლებშიც ლენინი აშუქებს სოციალისტური მშენებლობის საკითხებს და ყოველმხრივ ასაბუთებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის აუცილებლობას. ამ ნაშრომებში ლენინმა იმ პერიოდის მთავარ ამოცანად წამოაყენა სახალხო მეურნეობაზე უსახტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის შემოღება.

ოცდამეექვსე ტომში დაბეჭდილია 14 ნაწარმოები, რომლებიც პირველად შედის ვ. ი. ლენინის თხზულებებში: „პროექტი რეზოლუციისა პრესის თავისუფლების შესახებ“, „განცხადება გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობის ბოლშევიკურ ფრაქციას“, „პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ“, „ზავზე მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტი“, „დამფუძნებელი კრების გახსნის შესახებ“, „პროექტი რეზოლუციისა დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკების ფრაქციის დროებითი ბიუროს შესახებ“ (ქვეყნდება პირველად), „ლაპარაკი პირდაპირი მავთულით“, „წერილობითი ბრძანება წითელი გვარდიის შტაბს“, „პროექტი დეკრეტისა საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ, 1918 წ. 18 (31) იანვარი“, „რადიოთი. ყველას. განსაკუთრებით საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში“, „რადიოგრამა ყველას, ყველას“, „ბრესტ-ლიტოვსკი რუსეთის საზავო დელეგაცია. ტროცკის“, „ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პირდაპირი მავთულით ლაპარაკი დვინსკის საბჭოს წევრებთან“, „ლენინის პასუხი პირდაპირი მავთულით მოსკოვის საბჭოს“. ყველა ეს ნაწარმოები ლენინის მიერ დაწერილია ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ და ასახავს ბოლშევიკების პარტიის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სამართლიანი დემოკრატიული ზავის დამყარებისათვის. (საქდესი).

მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბრძოლო დღესასწაული

★

მ. მარინინი

★

სამოცდასამი წლის წინათ მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლებმა სოციალისტთა პარიზის კონგრესზე მიიღეს საგულისხმო გადაწყვეტილება — ყოველ წელიწადს ედღესასწაულათ პირველი მაისის დღე როგორც მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე. მას შემდეგ, გაბატონებული ბურჟუაზიის ფანდებისა და ტერორის მიუხედავად, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები პირველ მაისს ცხადყოფენ თავიანთ ნებასა და გადაწყვეტილებას — მოიშორონ კაპიტალის უღელი, „გაანაბლონ სამყარო თავისუფლებისა და სოციალიზმის საფუძველზე“ (სტალინი).

ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო ახალი ეპოქა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განვითარებაში. მეოთხეედი საუკუნის წინათ ამხანაგი სტალინი წერდა, რომ თუ წინათ არ ყოფილა „**საქვეყნო** აშკარა ფორუმი, საიდანაც შეიძლებოდა ჩაგრული კლასების ზრახვათა და მისწრაფებათა დემონსტრირება და გაფორმება, ახლა ასეთი ფორუმი არსებობს პირველი პროლეტარული დიქტატურის სახით“ (თხზ., ტ. 10, გვ. 264).

მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშისტური დამონების საფრთხისაგან კაცობრიობის განთავისუფლებაში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა როლმა, ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიის წყობილების გამარჯვებამ, კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა ბრძოლის გაძლიერებამ თავიანთი უფლებებისა და ინტერესებისათვის — ყოველივე ამან გამოიწვია მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის მნიშვნელოვანი განმტკიცება. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა, რომელიც მშვიდობის მომხრეთა დიადი მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს, პირველხარისხოვან როლს ასრულებს ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის საქმეში.

1952 წლის პირველი მაისის დღეს ყველა ქვეყნის ასეულ მილიონობით მშრომელი და პროგრესული ადამიანი განაცხადებს, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაშალონ ომის გამჩაღებელთა კანიბალური გეგმები, დაიცვან მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საქმე.

I.

მშვიდობის მძლავრი ბურჯია დიდი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო.

საბჭოთა ეკონომიკა განუხრელად ვითარდება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდითა და სრულყოფით მაღალი ტექნიკის საფუძველზე.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებისათვის ბრძოლამ გამოიწვია საწარმოო ძალთა ახალი სწრაფი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების ახალი შემოქმედებითი შემართება, ხალხის ინიციატივის გაშლა.

სწრაფი ტემპით იზრდება და სრულყოფილი ხდება სოციალისტური წარმოება. 1951 წელს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობამ ერთიანორად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. მარტო გასულ წელს სამრეწველო პროდუქცია 16 პროცენტით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. 1952 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1951 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 16 პროცენტით გაიზარდა.

ახალი მძლავრი აღმავლობის ნიშნით ვითარდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა. მისი ტექნიკური აღჭურვილობა განუწყვეტლივ იზრდება. მარტო გასულ წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 137 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 53 ათასი მარცვლეულის მოსავლის ასაღები კომბაინი, 59 ათასი სატვირთო ავტომობილი და ორი მილიონი ნიადაგდასამუშავებელი, სათესი, მოსავლის ასაღები და სხვა მანქანა. თუმცა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რაიონში 1951 წელს არახელსაყრელი ამინდი იყო, მაგრამ მარცვლეულის საერთო მოსავალმა შეადგინა 7 მილიარდ 400 მილიონი ფუთი.

სოციალისტური ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, მაღლდება მისი კულტურული დონე.

ზრუნავს რა ხალხის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებს ფასების შემცირების პოლიტიკას. ომისშემდგომ წლებში სახელმწიფო საცალო ფასები ხუთჯერ შემცირდა. წელს სასურსათო საქონლის ფასები შემცირებულ იქნა 10-დან 30-მდე პროცენტით.

ჩვენი ეკონომიკის ეს ახალი შესანიშნავი წარმატებანი სოციალისტური საზოგადოების დიდ სიცოცხლისუნარიანობას მოწმობენ. ისინი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს აღფრთოვანებენ იმპერიალისტური მონობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

II.

1921 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა: „ჩვენი გზა სწორია, ვინაიდან ეს არის გზა, რომელთანაც ადრე თუ გვიან გარდუვალად მივლენ დანარჩენი ქვეყნებიც“ (თხზ., ტ. 33, გვ. 136).

ისტორიულმა გამოცდილებამ ბრწყინვალედ დაადასტურა მთელი მსოფლიოზე მეტი კაცი მონაწილეობდა შარშან იტალიაში გაჩაღებულ საგაფიცო ბრძოლაში. დაახლოებითებელია ცხოელები საგაფიცო ძოძრაობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში. 14 მილიონზე მეტი მუშა-მოსამსახურე იყო გაფიცული ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთ წელიწადში—1946-დან 1950 წლამდე. 1951 წლის 10 თვეში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა 4.085 გაფიცვა, რომლებშიც 2 მილიონი მუშა მონაწილეობდა. გაფიცვების ტალღა ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ განუხრელად ძლიერდება.

კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს იმპერიალისტების შეტევას მშრომელთა საარსებო დონეზე, აძლიერებს თავის ბრძოლას ახალი ომის მომზადების დანაშაულებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იზრდება ცალკეული ქვეყნების მშრომელთა შეკავშირება, მტკიცდება მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა.

IV.

თავის პასუხში ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის კითხვებზე ამხანაგმა სტალინმა განაცხადა, რომ მესამე მსოფლიო ომი ამჟამად უფრო ახლო არ არის, ვიდრე ორი თუ სამი წლის წინათ იყო. ომის საწინააღმდეგო ფაქტორები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ომის გამჩაღებელთა ხრიკები. ხალხებს ომი არა სურთ. ისინი მშვიდობას მოითხოვენ.

მძლავრ ძალად გაიზარდა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა. მშვიდობის მსოფლიო საბჭო გადაიქცა ხალხთა ავტორიტეტიან ასამბლეად. პროგრესული კაცობრიობა სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამერიკელ აგრესორებს, რომლებმაც სისხლისმღვრელი ომი გააჩაღეს კორეელი ხალხის წინააღმდეგ. მთელი მსოფლიო მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს გერმანიის გათიშვისა და აგრესიის პლაცდარმად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის პოლიტიკას.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის კულისებში სულ უფრო ძლიერ მწვავდება ძორეული, შეურიგებელი წინააღმდეგობანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს, ინგლისსა და საფრანგეთს, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის. ამ პირობებში ამერიკელი იმპერიალისტები აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ახალი ომისათვის მზადებას. განიცდიდეს რა სამხედრო დამარცხება კორეაში, მათ მიმართეს კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური ომის დანაშაულებრივ მეთოდებს. ისინი აჩქარებენ იაპონიის მილიტარიზმისა და გერმანიის ფაშიზმის აღდგენას. ისინი მოურიგდნენ ესპანელი ხალხის ჯალათს—ფრანკოს, იუგოსლავი ხალხის ჯალათებს — ტიტოს ხროვას, თავიანთ პლაცდარმებად აქცევენ ესპანეთსა და იუგოსლავიას. ამერიკელმა იმპერიალისტებმა გააძლიერეს ძირგამომთხრელი მუშაობა ახლო და შუა აღმოსავლეთში, ცდილობენ მოახდინონ ამ რაიონის ოკუპაცია „ახლო აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის სახით. ისინი ფუშავენ ყოველ ცდას, რომელიც მიმართულია სადავო საკითხების მოწესრიგებისაკენ, საერთაშორისო ვითარებაში არსებული დაძაბულობის შენელებისაკენ.

ამერიკელ მონოპოლისტთა აგრესიული კურსის გაძლიერების პასუხად მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმება დიდი საბჭოთა კავშირის გარშემო.

მშვიდობის ქმედითი განმტკიცების სტალინური პროგრამა აღაფრთოვანებს მშვიდობისმოყვარე ხალხებს და აძლიერებს მათს ბრძოლას ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

ოცდარვა წლის წინათ ამხანაგი სტალინი, ლაპარაკობდა რა თავის შეხვედრებზე საბჭოთა კავშირში ჩამოსულ უცხოელ მუშებთან, აღნიშნავდა: „მე გამაკვირვა კიდევ ამ მუშების ერთმა თვისებამ, — ესაა გულთბილი და ძლიერი, თითქმის დედობრივი სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი და კოლოსალური, უსაზღვრო რწმენა ჩვენი პარტიის სიმართლისა, უნარიანობისა და ძლიერებისა“ (თხზ., ტ. 6, გვ. 315-316).

ურღვევია ყველა ქვეყნის მშრომელთა კავშირი საბჭოთა კავშირთან, უსაზღვროა მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანთა სიყვარული სოციალიზმის პირველი ქვეყნისადმი და მისი გენიალური მესაჭის—ამხანაგ სტალინისადმი.

* * *

საბჭოთა კავშირის ხალხები პირველ მაისს ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო, თავიანთ მზადყოფნას დაუღალავად განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს ძლიერება, იბრძოლონ მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

საბჭოების ქვეყანაში კიდით კიდემდე გაისმის ამ დღეს ხალხის გულის სიღრმიდან აღმომხდარი აღფრთოვანებული სიტყვები:

გაუმარჯოს კომუნისტების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამობრძმედილ ავანგარდს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

48.600 ცენტნერი შაქარი გეგმის გადამეტებით

აგარა. (საკ. კორ.). აგარის ბერიას სახელობის შაქრის ქარხნის კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა 1951-52 წლის საწარმოო სეზონი. აგარელებმა წარმატებით გაანადგეს ნაკისრი ვალდებულებანი და სეზონის განმავლობაში. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 48.600 ცენტნერი მაღალბარისხოვანი შაქარი, შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 6 პროცენტით და თვითეული ცენტნერი შაქრის თვითღირებულება შეამცირეს 10 მანეთით.

მთელი სამუშაო სეზონის განმავლობაში ყველა დანადგარი და მოწყობილობა შეუფერხებლად მუშაობდა, რითაც ქარხანამ ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის შაქრის ქარხნებს შორის.

საწარმოში დაიწყო მზადება ახალი სეზონისათვის.

ოთხი თვის გეგმა 15 აპრილისათვის შეასრულეს

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის შ. შოთაძის უბნის მეშახტეებმა საპირველმაისო შეჯიბრებაში იკისრეს ქვანახშირის ამოღების ოთხი თვის გეგმის ათი დღით ადრე შესრულება. ნაკისრი ვალდებულება უბნის კოლექტივმა ვადამდე გაანადგა —ოთხი თვის გეგმა 15 აპრილს შესრულა და გეგმის გადამეტებით თვის ბოლომდე 3 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღო.

გალაკტიონ ტაბიძე

საქართველოს სახალხო პოეტი

პირველი მაისი

წინ, წინ კომუნიზმისკენ
გასწით თავგამოდებით!
საყვარელი მაისის
ჩვენ ვართ პატრიოტები!
წინ, წინ, სად გაშლილია
ახალი წალკოტები...
წინ, წინ! დიდი მაისის
ჩვენ ვართ პატრიოტები!
შეხედეთ, ვით ახლოა
ჩვენთან მოძმე ჩინელი;
რა ღამე გადიტანა
ბნელი და საშინელი.
ასე სძლია კეთილმა
ბნელს, სავსეს ბოროტებით...
ამნაირი მაისის
ჩვენ ვართ პატრიოტები.
ჩინეთის მაგალითზე
ხალხების სვლა დიდია.
დიად მომავლისათვის
ის ურყევი ხიდია.
დრომაც ხომ აღიმაღლა,
ხმები შურისმგებელი:
ძირს ვერაგი, ახალი
ომის გამჩაღებელი.
წინ, წინ მაისის გზებით,
ბოროტზე აღშფოთებით!
უდიადეს მშვიდობის
ჩვენ ვართ პატრიოტები!
ო, ძვირფასო მიზნებო
ერთა ძმობის ყლორტებით
წინ, წინ! დიად მომავლის
ჩვენ ვართ პატრიოტები!
ისინი კი, რომელთაც
ომის სურთ გაჩაღება,
ვინაც ტყვიამფრქვევების
ნატრობს აკეხკეხებას,
ააფეთქეთ, რომ მათგან
არ დარჩეს ნაფოტებიც,
დიდზე დიდი მაისის
ჩვენ ვართ პატრიოტები!
რარიგ დიდებულია
სამშობლოს აღმავლობა,
რა სიდიადეს ნახავს
ჩვენი შთამომავლობა!
სიმღერებით, სიახლით,
შრომით, თავგამოდებით —
წინ, ბრწყინვალე მაისის
ჩვენ ვართ პატრიოტები!
მედგრად ქუხს კონტინენტი
ყოველ ახლის შეგნებით,
კიდეც მრავალ სახალხო
ახალთ-ახალ ქვეყნებით,
ბრწყინავს ჩვენი კავშირის
ვარსკვლავი ალმოდებით,
წინ, ბრწყინვალე მაისის
ჩვენ ვართ პატრიოტები!
დიდი ბრძენი ბელადის
მგზნებარე მოწოდებით,
წინ, წინ! დიდი მაისის
ჩვენ ვართ პატრიოტები!

სპალინური პრემიების გადაცემა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებისათვის

30 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს, მეტალურგებს, გეოლოგებს, მშენებლებს, დამპროექტებელ ინჟინრებს საზეიმო ვითარებაში გადეცათ სტალინური პრემიები, რომლებიც მათ მიენიჭათ მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში 1950 წელს მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის.

სტალინური პრემიების გადაცემას დაესწრნენ მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლნი. დამსწრეთა შორის არიან ამხანაგები **ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბაქრაძე, ხ. იშხანოვი, კ. ციმაკურიძე** და სხვები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ზ. კეცხოველმა** მოკლე შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭება, რაც ტრადიციულ მოვლენად გადაიქცა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში, მოწმობს ხალხის შემოქმედებითი ძალების ზრდისათვის, ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის განვითარებისათვის იმ მუდმივ ზრუნვას, რასაც ყოველთვის იჩენენ საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკური პარტია, პირადად ამხანაგი სტალინი.

ამხ. კეცხოველმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტალინური პრემიების მინიჭებამ საქართველოს მეცნიერები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები უნდა აღაფრთოვანოს, რათა ახალ-ახალი წარმატება მოიპოვონ შემოქმედებითს შრომაში სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ამხ. კეცხოველი ლაპარაკობს, რომ საჭიროა მეცნიერულად დამუშავდეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა უხვ მოსავლიანი ხორბლის ჯიშების შექმნა, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის მოსავლიანობის გადიდება, პირუტყვის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა, სოფლის მეურნეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, სუბტროპიკული, ტექნიკური და ძვირფასი მრავალწლიანი კულტურების გაშენება, ჩვენი სამთო-მინერალური სიმდიდრის შესწავლა. ჩვენი მეცნიერ-ტექნიკოსთა კადრების წინაშე გადაშლილია უფართოესი სამოღვაწეო ასპარეზი მრეწველობის საწარმოო პროცესთა რაციონალიზაციის დარგში, მშენებლობაში, ისეთი ახალი ტიპის მანქანების კონსტრუირების საქმეში, რომლებიც აადვილებენ შრომას და აიაფებენ წარმოებას. დიდი მოთხოვნები აქვთ წაყენებული ჩვენს მეცნიერებს — ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს, ფსიქოლოგებს, მათემატიკოსებს და სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლებს. გაცილებით მეტს მოითხოვს ჩვენი ქვეყანა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. კეცხოველი ულოცავს მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებს მათთვის სტალინური პრემიის ლაურეატის სპატიო წოდების მინიჭებას.

— ჩვენ მტკიცედ გვწამს, — ამბობს ამხ. კეცხოველი,—რომ ჩვენი რესპუბლიკის სტალინური პრემიის ლაურეატების სახელოვანი რაზმი მთელი თავისი ცოდნით, მთელი თავისი ნიჭით კვლავაც ემსახურება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამეფურნეო და კულტურული აღმავლობის ინტერესებს და თავისი შემოქმედებითი შრომით ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის დაკანონებით ამხ. კეცხოველმა დაჯილდოებულთა გადასცა სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომები და საპატიო სამკერდე ნიშნები.

პირველი ხარისხის სტალინური პრემია გადაეცა ინჟინერ **ა. ა. კამლაძეს** ზღვის ნავთის საბადოების აღმოჩენისა და ათვისებისათვის. მეორე ხარისხის სტალინური პრემია გადაეცა ინჟინერ **პ. ი. შვეცს**, რომელმაც ნოვო-კრამატორსკის ქარხანაში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის შექმნა საბჭოთა ბლუმინგი.

საქართველოს გეოლოგთა ჯგუფს გადაეცა მესამე ხარისხის სტალინური პრემია, რომელიც მათ მიენიჭათ მთამადნეულის საბადოების ძიებისათვის. ჯილდო მიიღეს გეოლოგებმა **ა. ვ. მარგალიტაძემ, ი. ი. ნაზაროვმა, ე. ბ. გაბუნიამ,** საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს თანამშრომლებმა **ტ. ლ. ჩიტაიამ,** სამთო ინჟინრებმა **კ. ტ. ვართანიანმა** და **კ. გ. კერესელიძემ.**

შემდეგ მესამე ხარისხის სტალინური პრემია გადაეცა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკთა ჯგუფს მარგანეცის შენადნობთა გამოდნობის ახალი ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვისათვის. ჯილდო მიიღეს მუშაობის ხელმძღვანელმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის განყოფილების უფროსმა **ი. ხ. ლორთქიფანიძემ,** ლაბორატორიის უფროსმა **დ. ს. ჩიკაშუამ,** საამქროს უფროსმა **გ. ა. შათირიშვილმა,** ქარხნის დირექტორმა **ი. გ. კეკელიძემ,** ინჟინერმა **ვ. ა. მელაძემ** და ინჟინერმა **ლ. ხ. მაღლაკელიძემ.**

მეორე ხარისხის სტალინური პრემია აქვს მინიჭებული საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ მშენებელთა ჯგუფს ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის. სტალინური პრემიები მიიღეს მუშაობის ხელმძღვანელმა მთავარმინჟინერმა **ა. მ. გინდიანმა,** ტრესტის მმართველმა **ვ. ლ. ჯანკოტაძემ, მ. ხ. ებრალიძემ,** სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილემ **ნ. ა. მაკარეგიჩმა, გ. ხ. მაევსკიმ,** მთავარმა კონსტრუქტორმა **ხ. კ. შანშიეფმა,** მთავარმა ჰიდროტექნიკოსმა **ხ. გ. რუტკოვსკიმ,** საქელექტროშესელმშენის ტრესტის მმართველმა **ა. ხ. მიქაბერიძემ,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ **მ. ა. მოსტკოვმა,** ტრესტის განყოფილების უფროსმა **ნ. ვ. პოლოხინმა.**

დიდი დიამეტრების რკინაბეტონის დაძაბულარმირებული მილების დამზადების ახალი მეთოდის შემუშავებისა და დანერგვისათვის მესამე ხარისხის პრემია მიიღეს ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის მმართველმა **ნ. ა. გიორგაძემ,** ბეტონის კომბინატის მთავარმა ინჟინერმა **ვ. ი. შეფჩენკომ,** ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა **ნ. ბ. ლომოცკიმ,** საპროექტო ტრესტ „თბილქალაქპროექტის“ მთავარმა ინჟინერმა **გ. გ. ჩუბინიშვილმა.**

მესამე ხარისხის სტალინური პრემია გადაეცა ტრესტ „საქკვებპროექტის“ მთავარ ინჟინერს **ი. ა. ლოლობერიძეს** „დარბაზის“ ტიპის გადახურვის დამუშავებისა და მშენებლობაში დანერგვისათვის. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის საამქროს უფროსმა მექანიკოსმა **ი. ა. ნიკოლაშვილმა** მიიღო მესამე ხარისხის სტალინური პრემია მუშაობის ახალი სტახანოვური მეთოდებისა და წარმოების გაუმჯობესებისათვის. ცხვრის ტყავის სპეციალური დამუშავების მეთოდის შემუშავებისათვის მესამე ხარისხის სტალინური პრემია მიიღო სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარსამმართველოს მთავარმა ინჟინერმა **ა. ი. კონოვალოვმა.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის დირექტორმა **მ. ხ. დალაქიშვილმა** მიიღო მესამე ხარისხის სტალინური პრემია, რომელიც მას მიენიჭა ნაშრომებისათვის დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში ხორბლის მოყვანის დარგში.

მესამე ხარისხის სტალინური პრემია გადაეცა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს **მ. კ. ლარასელიას.**

სტალინური პრემიების გადაცემის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს სტალინური პრემიის ლაურეატებმა ა. კამლაძემ, ი. კეკელიძემ, ე. ჭინკოტაძემ, ი. ლოლობერიძემ. მათ მადლობა გადუხადეს პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და პირობა დადეს, რომ მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას მოახმარენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, ლენინ-სტალინის საქმეს. (საკდესა).

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის საფასადო კორპუსი. ფოტო რ. აკოფოვისა

მეგი და მაღალხარისხოვანი ფოლადი

მშრომელთა საყოველთაო დღესასწაულის — პირველი მაისის წინა დღეებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს არსებობის 2 წელი შეუსრულდა. ორი წლის წინათ, 1950 წლის 27 აპრილს, მარტენის საამქროს პირველ ღუმელში პირველი ქართული ფოლადი გამოვადნე. ამ მოკლე ხანში ჩვენს საამქროში გაიზარდა მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც საფუძვლიანად დაეუფლნენ მეტალურგიული წარმოების რთულ საქმეს და გახდნენ ფოლადის ჩქარისნული დნობის სახელოვანი ოსტატები.

ამჟამად მარტენის საამქროს მეფოლადეები ს. იაკიმენკოს ნოვატორული მეთოდით ვმუშაობთ და გაბუწყვეტლივ ვზრდით შრომის ნაყოფიერებას. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 250 ჩქარისნული დნობა განვახორციელე, გეგმის გადამეტებით ორი ათას ტონაზე მეტი ფოლადი გამოვადნე და დაეზოგე ათასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს სტახანოველმა მეფოლადეებმა ზურაბ კვახაძემ, ივანე მეტრიველმა, ამირან ფანკულაიამ, ვაჟა გოგიბერიამ, შოთა შუბითიძემ, ჩამტვირთავმა მემანქანეებმა რომან ცაბუტაშვილმა, გერასიმ ხუციშვილმა, ამწეს მემანქანემ სერგო ჯიბლაძემ და სხვებმა.

ახლა ფოლადის ჩქარისნულ დნობას საამქროს ყველა მეფოლადე აღწევს, თუ მას მუშაობისათვის საჭირო პირობები აქვს შექმნილი. მაგრამ მარტო ეს როდია ჩვენი მიზანი. ერთხანს მარტენის საამქროს მეფოლადეები ფოლადის ჩქარისნულ დნობათა რაოდენობით გატაცებამ პროდუქციის ხარისხის გაუარესების საფრთხემდე მიიყვანა. ამას დროზე ავუღეთ ალღო და მთელი ძალები დაერაზმეთ შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად. ამის შედეგად ბოლო ხანებში შესამჩნევია ფოლადის ხარისხის გაუმჯობესება. მაგალითად, თუ იანვარში ბაგლინგისას გამოვლინებული ფოლადის საერთო წონი 5,6 პროცენტს უდრიდა, მარტში 2,9 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო მაღალხარისხოვანი სამილე ფოლადის წონი 6,2 პროცენტიდან 1,6 პროცენტამდე დავიდა.

ჩვენი ამოცანაა მომავალში უფრო ავამაღლოთ საწარმო-ტექნიკური მაჩვენებლები, სამშობლოს მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადი.

ილია ლაზარიაშვილი

ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს სტახანოველი მეფოლადე

ჩემი საპირველმაისო საჩუქარი

ქალაქ გორის განაპირას, მტკვრისა და ლიახვის შესართავთან საფეიქრო კომბინატში გუგუნებენ სართავი და საქსოვი დაზგები. აქ გორელი ფეიქრები დიდ შემოქმედებითს შრომას ეწევიან.

ფეიქართა ახალგაზრდა დაბაში მოსვლისთანავე მუშაობა დავიწყე კომბინატის ახლად ამუშავებულ საქსოვ ფაბრიკაში. წარმატებით დავეუფლე მქსოველის პროფესიასა და ახლა 12 საქსოვ ავტომატურ დაზგას ვუწევ მომსახურებას. საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ვიკისრე გადიდებული ვალდებულება.

კარგი მაჩვენებლებით დავამთავრე მარტი. უფრო უკეთესი მაჩვენებლები მოვიპოვე აპრილში. 23 სამუშაო დღის განმავლობაში ნაცვლად 3.220 მეტრისა მოვქსოვე 3.614 მეტრი პირველხარისხოვანი ქსოვილი, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცი 394 მეტრი თეთრეული.

კომბინატის ახალგაზრდა კოლექტივთან ერთად თავდადებით ვიბრძვი იმისათვის, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი გორული ქსოვილი მივაწოდო ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელებს.

ნათელა ილურიძე

გორის საფეიქრო კომბინატის სტახანოველი მქსოველი

სამგორის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელ მოწინავე ინჟინერთა ერთი ჯგუფი. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) — უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი ნიკოლოზ საგინოვი, ინჟინერი თამარ მესხიშვილი, სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ვლადიმერ ჩიკვაიძე, სამუშაოთა მწარმოებელი გივი ჭუთათელაძე, ინჟინერი სერგი კავკასიძე, ელექტრომონტაჟო სამუშაოთა ხელმძღვანელი ინჟინერი პეტრე მესხიშვილი და ინჟინერები რომან გარხევანიშვილი, ვლადიმერ ერისთავი და ვლადიმერ კრავცოვი.

ჰიდროელექტროსადგური შუა ქალაქში

თბილისის XXI პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა:

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი ამ უკანასკნელ წლებში დიდად გაიზარდა, მოსახლეობა გამრავლდა, ამაღლდა საერთო კეთილდღეობის დონე, მაგრამ ჩამორჩა საქალაქო მეურნეობის განვითარება, კომუნალური მომსახურების გაწევა. საჭიროა უახლოეს ხანში იქნეს მიღწეული ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია და, როგორც ერთ-ერთი ღონისძიება, დაჩქარდის ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ელექტროენერგიით ქალაქის მომარაგების გასაუმჯობესებლად.

ამ ამოცანის პირნათლად შესრულება საბრძოლო მიზნად დაისახეს თბილისის ახალი მშენების — ორთაჭალის კომუნალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა.

— წელს უნდა ავამუშაოთ ჩვენი ჰიდროელექტროსადგური პირველი რიგის სიმძლავრით!

მშენებელთა ამ ერთსულოვანი გადაწყვეტილების დასადასტურებლად კაშხალის ბურჯების უკვე დაბეტონებული ინდუსტრიულ პანორამას გადაჰყურებს წითელ არშიაზე ამოქარგული ეს ლოზუნგი და ქვემოთ მინაწერი საბრძოლო მოწოდება:

— ჩვენი ღირსების საქმეა — ვაშენოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად, იაფად!

მტკიცედ დარაზმული, ერთი სულისკვეთებით აღჭურვილი მშენებლები — მებეტონეები, კალატოზები, დურგლები, სამუშაოთა მწარმოებლები, უბნის უფროსები, ოსტატები და მიწისმთხრელები, მთელი კოლექტივი თავდადებით და ენთუზიაზმით მუშაობს ამ ამოცანის შესასრულებლად, დანიშნულ ვადამდე სადგურის ასამუშაებლად.

კაშხალისათვის საჭირო ლითონის მოწყობილობით დატვირთული პირველი ტრანსპორტი უკვე მიღებულია. მემონტაჟეებს საშუალება ეძლევათ საპირველმაისო ზეიმის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ მოწყობილობის დაყენებას, კაშხალის კედლებში საფარე ბუდეების დამონტაჟებას. მშენებლები მალე მიიღებენ მოწყობილობის დანარჩენ ნაწილებს. დანადგართა ცალკე პარტიებს. დანადგარები რთულია, ახალი, ორიგინალური, მათს დადგმას, გამართვას საგრძნობი დრო დასჭირდება, და რაც ადრე შეუდგებიან ამ საქმეს მემონტაჟენი, მით უკეთესი იქნება სადგურის დროზე ამუშავების უზრუნველსაყოფად.

მეორე სასიხარულო ამბავმაც აღაფრთოვანა ორთაჭალელი მშენებლები შემდგომ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში: მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო მაჩვენებელთა ძიებვდით მათ მიაკუთვნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

საბჭოთა კავშირში მრავალი ჰიდროელექტროსადგური შენდება. ყველგან საკავშირო პირველობისათვის, საამაყო ჯილდოს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშისათვის. ორთაჭალელმა მშენებლებმა თავიანთი მაღალნაყოფიერი შრომით ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს ეს დიდი ჯილდო და ამით საქვეყნოდ გაითქვეს სახელი.

თვითდამშვიდების, განცხრომის განწყობილება მომაკვდინებელი მტერია ყოველი ცოცხალი საქმისათვის. ეს მტკიცედ აქვთ შეგნებული მშენებლობის ხელმძღვანელებსაც და რიგითს მშენებლებსაც. ამიტომ ხალისითა და მონდომებით მუშაობენ ისინი ახლა იმისათვის, რომ მდინარის მარცხენა მხარეს ყველა სამუშაო მოათავონ, მალე მდინარე კაშხალის მარცხენა მხარის ბურჯებს შორის გადააგდონ და მარჯვენა მხარე გაათავისუფლონ კაშხალისა და მასზე ხიდის მშენებლობის დასაჩქარებლად. შეუპოვრად, მთელი ენერგიით მუშაობენ მშენებლობის უფროსი გიორგი ჩოგოვაძე და მთავარი ინჟინერი ირაკლი ძღებრიშვილი, სამუშაოთა და სამშენებლო უბანთა ხელმძღვანელი ინჟინერები — მამია ნემსაძე, ივანე კახაძე, დავით ორჯონიკიძე, ივანე გოჩუა, პავლე სერაკი, მოწინავე ბრიგადირები და მშენებლები — გიორგი ხიზანიშვილი, ეფრემ კაბისოვი, ვასილ შიუკაშვილი, ვასილ კობერიძე, ავთანდილ ბანეთიშვილი, შალვა ოსტატიშვილი.

ერთი გარემოება აწუხებთ მათ: შესაძლოა სადგურის ამუშავების დროისათვის თბილისის საბჭომ ვერ უზრუნველყოს მტკვრის კალაპოტის გამზადება კაშხალზე ფარების ძირს ჩაშვებისას წყლის შესაგუბებლად, ვინაიდან საამისოდ საჭირო იქნება ზოგიერთი შენობის აღება, სანაპიროზე საყრდენი კედლის აგება, რასაც, ცხადია, საგრძნობლად დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ მოხარეს ყველა სამუშაო მოათავონ, მალე მდინარე კაშხალის მარცხენა მხარის ბურჯებს შორის გადააგდონ და მარჯვენა მხარე გაათავისუფლონ კაშხალისა და მასზე ხიდის მშენებლობის დასაჩქარებლად. შეუპოვრად, მთელი ენერგიით მუშაობენ მშენებლობის უფროსი გიორგი ჩოგოვაძე და მთავარი ინჟინერი ირაკლი ძღებრიშვილი, სამუშაოთა და სამშენებლო უბანთა ხელმძღვანელი ინჟინერები — მამია ნემსაძე, ივანე კახაძე, დავით ორჯონიკიძე, ივანე გოჩუა, პავლე სერაკი, მოწინავე ბრიგადირები და მშენებლები — გიორგი ხიზანიშვილი, ეფრემ კაბისოვი, ვასილ შიუკაშვილი, ვასილ კობერიძე, ავთანდილ ბანეთიშვილი, შალვა ოსტატიშვილი.

ერთი გარემოება აწუხებთ მათ: შესაძლოა სადგურის ამუშავების დროისათვის თბილისის საბჭომ ვერ უზრუნველყოს მტკვრის კალაპოტის გამზადება კაშხალზე ფარების ძირს ჩაშვებისას წყლის შესაგუბებლად, ვინაიდან საამისოდ საჭირო იქნება ზოგიერთი შენობის აღება, სანაპიროზე საყრდენი კედლის აგება, რასაც, ცხადია, საგრძნობლად დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ მოხარეს ყველა სამუშაო მოათავონ, მალე მდინარე კაშხალის მარცხენა მხარის ბურჯებს შორის გადააგდონ და მარჯვენა მხარე გაათავისუფლონ კაშხალისა და მასზე ხიდის მშენებლობის დასაჩქარებლად. შეუპოვრად, მთელი ენერგიით მუშაობენ მშენებლობის უფროსი გიორგი ჩოგოვაძე და მთავარი ინჟინერი ირაკლი ძღებრიშვილი, სამუშაოთა და სამშენებლო უბანთა ხელმძღვანელი ინჟინერები — მამია ნემსაძე, ივანე კახაძე, დავით ორჯონიკიძე, ივანე გოჩუა, პავლე სერაკი, მოწინავე ბრიგადირები და მშენებლები — გიორგი ხიზანიშვილი, ეფრემ კაბისოვი, ვასილ შიუკაშვილი, ვასილ კობერიძე, ავთანდილ ბანეთიშვილი, შალვა ოსტატიშვილი.

* * *

ჰიდროელექტროსადგური თითქმის შუა ქალაქში! საქართველოს ჰიდროენერგოშენებლებმა შეძლეს ისეთი სქემის დამუშავება, როდესაც ქალაქის ცენტრშიც კი შესაძლებელი ხდება ელექტროსადგურის აგება.

ეს სადგური ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის სადიდებელი, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შრომითი ენთუზიაზმისა და გონებამახვილობის ძეგლი იქნება.

დ. ლომთაძე

სტახანოვური ჩქარისნული ნაყოფიერებისათვის

საბჭოთა ადამიანებისათვის დიდი ხანია ტრადიციად გადაიქცა ყოველ ღირსშესანიშნავ თარიღს შეხვდნენ ახალი საწარმოო გამარჯვებებით. მეც ჩემი წვლილი შემატანილ ამ კეთილშობილურ ტრადიციაში. დიდი ხანია ხარატად ვმუშაობ ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, საფუძვლიანად ვარ დაუფლებული ჩემს პროფესიას. ამჟამად ოთხ რთულ სახარატო დაზგას ვუწევ მომსახურებას და გამომუშავების დღიურ ნორმებს სამ-ოთხმაგად ვასრულებ. ომისშემდგომი ხუთწლედის დასაწყისიდან დღემდე 27 წლის გეგმა მაქვს განაღდებული, ხოლო პირველი კვარტალის დავალება ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 300 პროცენტისა 340 პროცენტით შევასრულე.

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის—პირველი მაისის შესახვედრად საპირველმაისო სტახანოვურ ვახტზე დავდექი და ვიკისრე თვიური დავალება სამმაგად გამენაღდებინა. სიტყვა საქმედ ვაქციე და აპრილის გეგმას 266 პროცენტით გადავაჭარბე. ჩემ მიერ დამუშავებული ყველა სამანქანო დეტალი საუკეთესო ხარისხისაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ახალგაზრდა კადრების აღზრდას. ქარხანაში მუშაობის პერიოდში ათზე მეტი ხარატი აღვზარდე.

ოთხივე დაზგას, რომლებსაც მომსახურებას ვუწევ, თვალისჩინივით ვუვლი. ერთ-ერთი ჩემი დაზგა თერთმეტი წელიწადია კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად მუშაობს და კვლავ კარგ მდგომარეობაშია.

მაღალნაყოფიერი სტახანოვური მუშაობა შეძლებული და კულტურული ცხოვრების საფუძველია. ჩემი საშუალო თვიური ხელფასი 2.500 მანეთს აჭარბებს, რაც საშუალებას მაძლევს ვიმუშაო ნაყოფიერად და ვიცხოვრო კულტურულად.

შალვა ვადაჭკორია

მრავალდაზგოსანი ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

შევინარჩუნებთ საუკეთესო ხარისხის ბრიგადის წოდებას

ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, კომკავშირულ-ახალგაზრდულია. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ჩვენმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 120 პროცენტით შეგვესრულებინა აპრილის საწარმოო დავალება და შეგვეხარჩუნებინა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის საპატიო წოდება.

ბრიგადაში ისე მოვაწყეთ შრომა, რომ შის თვითეულ წევრს წინასწარ მომზადებული აქვს სამუშაო ადგილი, მომარაგებული აქვს ნედლეული და მასალები. სამუშაოზე გამოცხადებისას გულდასმით ვაწარმოებთ სამუშაო ადგილის მზადყოფნას, ვიმარაგებთ ნედლეულს. შრომის ასეთი მოწესრიგებით იმას მივაღწიეთ, რომ თვიურ საწარმოო დავალებას მუდამ დაგაჭარბებით ვასრულებთ. აპრილში ჩემმა ბრიგადამ საწარმოო გეგმა 135 პროცენტით გაანაღდა.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში მივაღწიეთ სამუშაო ფრონტის გაფართოებას, რებას ეუწევეთ 17 დოლურას.

ბრიგადაში ფართოდ დავნერგეთ წარმოების ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება. ამან საშუალება მოგვცა კომბინატში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე ვიყოთ. ამის შედეგად საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის საპატიო წოდება ჩვენს ბრიგადას უკვე მეექვსეჯერ აქვს მიკუთვნებული.

ჩვენი ბრიგადა პირობას იძლევა უფრო გაზარდოს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, ნოვატორული მეთოდების დანერგვით მიაღწიოს ახალ წარმატებებს.

მედეა ქერკულაშვილი

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სტახანოველი მხვეველი

მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები უძლეველია

მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში დღესასწაულობენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს — 1 მაისს. სულ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული, ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგები. ომის ამერიკელი გამჩაღებლები იარაღს აჩხარუნებენ! არსებობენ კაცთმოძულე „მოღვაწეები", რომლებსაც თავხედობა ჰყოფნით აშკარად დაემუქრონ მსოფლიოს განადგურებით.

„ცივი ომისა" და გამალებული შეიარაღების პოლიტიკიდან ამერიკელი იმპერიალისტები უშუალოდ გადავიდნენ ომზე. მათ გააჩაღეს აგრესიული ომი მამაცი კორეელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც გმირულად იცავს თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. დიდია სამართლიანი საქმისათვის მებრძოლი ხალხის ძალა! მიუხედავად მატერიალური უპირატესობისა შეიარაღებაში, ამერიკელმა ინტერვენტებმა სასტიკი დამარცხებები განიცადეს თავიანთ მძარცველურ ომში კორეელი ხალხის წინააღმდეგ. უკანასკნელ ათენაში მათ მთელი კაცობრიობის წინაშე უსაშინელესი ბოროტება ჩაიდინეს — გამოიყენეს ბაქტერიოლოგიური იარაღი. ამერიკელი დამპყრობლები მიზანს მაინც ვერ მიაღწევენ, ვერ გატეხენ კორეელი ხალხის ნებისყოფას. კორეელი მებრძოლები არ დაჰყრიან იარაღს, სანამ თუნდაც ერთი ოკუპანტი დარჩება კორეის მიწაზე.

ომი ფაქტად იქცა! ახლა ამერიკის და ინგლისის მმართველი წრეების ბნელი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ კორეაში მათ მიერ დაწყებული ყაჩაღური ომი გააფართოონ, ომის ხანძარი გადაიტანონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მსოფლიოს ხალხები ახალ მსოფლიო ომში მაითრიონ.

ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა აგრესიული ზრახვები მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხების სულ მზარდ და შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდება. მსოფლიოს ხალხებს არა სურთ ომი, რომელსაც მათთვის მხოლოდ ტანჯვა, უბედურება, ცრუმლები მოაქვს. ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგები. იგი აერთიანებს მთელი კაცობრიობის მოწინავე, პროგრესულ ძალებს განურჩევლად ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენისა.

საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია. ლენინურ-სტალინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა გამომდინარეობს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების სოციალისტური ბუნებიდან და დიდი საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან. საბჭოთა ადამიანების მთელი ყურადღება მიპყრობილია კომუნისტური საზოგადოების დიადი ამოცანების შესრულებისაკენ. საბჭოთა ხალხი სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობით. „რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, — ამბობს ამხანაგი სტალინი,— იგი კვლავაც ურყევად განახორციელებს ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის დაცვის პოლიტიკას".

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავს მშვიდობის საქმეს, განუხრელად ახორციელებს ყველა იმ ქვეყანასთან საქმიანი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პოლიტიკას, რომლებსაც ასეთი თანამშრომლობა სურთ. საბჭოთა ხალხი სავსებით უქერს მხარს ბრძნულ ლენინურ-სტალინურ საგარეო პოლიტიკას: იგი ყველა ხალხთა ძმობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ურყევი და თანმიმდევრული ბრძოლის პოლიტიკაა. მშვიდობის საიმედო ბურჯმა — საბჭოთა კავშირმა დიდი სიყვარული დაიმსახურა მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხში. ისინი ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს მშვიდობას არა მარტო თავისთვის, არამედ ყველა ხალხისათვის. „საბჭოთა კავშირი, — აცხადებს საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი ფერნან გრენიე,— მშვიდობის საქმისათვის ნამდვილი მებრძოლია. როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიმინდის შეაქვს პრაქტიკული წინადადებანი განიარაღების შესახებ, ის გამოთქვამს დეტროიტელი მეტალურგის, ეროელი მევენახის, ლონდონელი დოკერისა და სიცილიელი გლეხის აზრებს. ის ერთდროულად გამოთქვამს ორასი მილიონი საბჭოთა მოქალაქისა და მილიონობით პატიოსანი, მშვიდობას მოწყურებული ადამიანის გულისნადებს, იმიტომ რომ არც მათ აქვთ რაიმე სარგებლობა ომისაგან. აი რატომ დაიმსახურა საბჭოთა კავშირმა მთელი მსოფლიოს ხალხების მადლიერება და სამართლიანად შეუძლია იქონიოს იმედი მათი სრული სოლიდარობისა მშვიდობის საქმისათვის დიად ბრძოლაში".

მშვიდობისათვის მტკიცედ იბრძვიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ ქვეყნების წარმატებები პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ფრონტზე აძლიერებს მშვიდობის ბანაკს.

მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეაქვთ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს. ისინი წინააღმდეგობას უწევენ კოლონიზატორებს, იბრძვიან უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მოითხოვენ თავიანთი ქვეყნებიდან უცხოელთა ჯარების გაყვანას. იზრდება კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა შეგნება. ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მალაიისა და ვიეტნამის ხალხები იარაღით ხელში ებრძვიან უცხოელ დამპყრობლებს. სეროიზული მარცხი განიცადეს ინგლისელმა იმპერიალისტებმა ირანსა და ეგვიპტეში. განსაკუთრებით დიდია სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნების ხალხები იმედით შესცქერიან საბჭოთა კავშირს — თავისუფალი და ბედნიერი მშრომელი ხალხის დიდ საშობლოს, ისინი, მიუხედავად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური კამპანიისა, სულ უფრო და უფრო ღრმად რწმუნდებიან, რომ საბჭოთა სახელმწიფო მშვიდობის ბურჯია, საბჭოთა ადამიანები მშვიდობისათვის ყველაზე აქტიური მებრძოლები არიან. ძნელია კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხების მოტყუება და ჩათრევა ანტისაბჭოთა ომში. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მეორე კონგრესზე ტუნისის დელეგატმა განაცხადა: „თუ იმპერიალისტები გააჩაღებენ ომს, ჩვენ ვაქცევთ ჩრდილოეთ აფრიკას ეულკანად. დიახ, ჩვენ ვაქცევთ ჩვენს მიწას ცეცხლისმფრქვეველ ვულკანად მათთვის, ვინც გაბედავს ბინძური ხელი აღმართოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

იზრდება და მტკიცდება მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგები ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებში. ამ ქვეყნების მმართველი წრეები დევნიან, ავიწროებენ, აპატიმრებენ მშვიდობისათვის მებრძოლებს, ყოველნაირად უშლიან ხელს მათს საქმიანობას, მშვიდობის მომხრეთა კონგრესებისა და კონფერენციების დელეგატებს არ აძლევენ ქვეყნიდან გასვლის ან ქვეყანაში შემოსვლის ნებართვას. მაგრამ მშვიდობის იდეას, სიცოცხლის იდეას, თავისუფლების იდეას ნებართვა არ ესაჭიროება. ამ იდეამ დაიპყრო მილიონობით სხვადასხვა ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენის ადამიანები. ეს ადამიანები შეადგენენ მშვიდობისათვის მებრძოლთა ჭეშმარიტად ხალხურ და უძლეველ არმიას.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში დიდი როლი ეკუთვნით მშრომელთა საერთაშორისო მასობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციებს. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი და მრავალი სხვა პროგრესული ორგანიზაცია აქტიურად იბრძვიან მშვიდობისათვის. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 60 ქვეყნის 80 მილიონზე მეტ ორგანიზებულ მუშას, მტკიცედ იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისა და ძმობისათვის, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო მზადებისა და შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, პოლიტიკისა, რასაც შედეგად მოსდევს მშრომელების საარსებო დონის კატასტროფული დაქვეითება, ხალხის მასების შიმშილი და გაღატაკება.

მთელი მსოფლიოს ქალები მშვიდობისათვის მებრძოლთა უძლეველი არმიის დიდ და აქტიურ ძალას წარმოადგენენ. ომს აუტანელი გაჭირვება და უბედურება მოაქვს ქალებისათვის. ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული თავიანთი მამების, ქმრების, შვილების, ძმების, დების ხსოვნას. 64 ქვეყნის 135 მილიონი ქალი გაერთიანებულია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში. მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის მტკიცედ დარაზმული და ორგანიზებული ქალები მიმართავენ მსოფლიოს ქალებს: „ყველა ქვეყნის ქალებო! დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენი შვილების წინაშე, ჩვენი ხალხების წინაშე, კაცობრიობის წინაშე და ისტორიის წინაშე, და თუ ყველა ჩვენ, ქალები, — ჩვენ კი კაცობრიობის ნახევარს შევადგენთ, —შემჭიდროებული მუყობრით გამოვალთ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ — ომი არ იქნება!".

მშვიდობიანი შრომის ყოველი დღე ახალ-ახალ ძალებსა და სიმტკიცეს ჰმატებს მშვიდობის ბანაკს. მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები ფრედერიკ ჟოლიო კიური, გო მო-ჟო, პიეტრო ნენი, ჟორჟი ამადუ და მრავალი სხვა მოწინავე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე აქტიურად იბრძვიან და შრომობენ მშვიდობის დასაცავად.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ძალა მის მასობრივობაშია. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ ხელი მოაწერა 600 მილიონზე მეტმა ადამიანმა. მშვიდობის მომხრეები იცავენ მსოფლიოს ყველა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს, იცავენ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას, ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, ჩვენს მომავალ თაობას საშინელი კატასტროფისაგან. ქვეყანაზე არიან კაცთმოძულე ავანტიურისტები, რომლებსაც სურთ ომი, რომლებიც უყურებენ ომს, როგორც მოგების საშუალებას, მაგრამ არ არიან ხალხები, რომლებსაც ომი სურდეთ. მშვიდობისათვის მებრძოლთა საქმე სამართლიანი, კეთილშობილური, სახალხო საქმეა. ამაშია მშვიდობის დიადი საქმის უძლეველობა.

ამერიკელ-ინგლისელი აგრესორები გაფაციცებით ემზადებიან ომისათვის. მაგრამ მათ არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ხალხებს. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შეიარაღებული ძალების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე პოლ შეფერი იძულებული იყო განეცხადებინა: „...ჩვენ აუცილებლად მოგვიხდება რუსებთან შეტაკება. ბუნებრივია, თუ საფრანგეთი იტყვის „არა", ეს სერიოზულად გაანძელებს ჩვენს ამოცანას". ფრანგი ხალხი ამბობს: „ჩვენ არ ვიომებთ, არასოდეს არ ვიომებთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ". მთელი მსოფლიოს მშრომელი, პატიოსანი ადამიანები, რომლებიც მრავალმილიონიან არმიას შეადგენენ, აცხადებენ: „ჩვენ არასოდეს არ ვიომებთ იარაღს ხელში სტალინგრადის უკვდავი გმირების წინააღმდეგ".

ყველა ქვეყნის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ პირველი მაისის დღესასწაულს, რომელიც ტარდება მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ნიშნით. დღეს მოხდება მშვიდობის მომხრეთა დიდი არმიის საბრძოლო ძალების დათვალიერება. მშვიდობის მომხრეებმა კარგად იციან: მშვიდობა თვითონ არ მოდის, მშვიდობისათვის საჭიროა ბრძოლა, შეუპოვარი, თავდადებული, აქტიური ბრძოლა.

დღეს მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანების თვალები მიპყრობილია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისაკენ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინისაკენ.

ყველა ქვეყნის დედები იმეორებენ კორეელი გოგონას ლი ოკ-ჩას სიტყვებს: „რა დიდი ბედნიერებაა, რომ ქვეყნად არიან საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ადამიანები, სტალინი" და ორმა რწმენით ამბობენ — სტალინი მშვიდობას იცავს, ომის ძალებს გამარჯვება არ უწერიათ!

ბ. მელაძე

საერთაშორისო თემაზე

ბაქტერიოლოგიური ჯარების გენერლის ახალი კარიერა

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოდაშია მშვიდობაზე ლაყბობა. მშვიდობის „მზეს ფიცავენ“ მშრომელთა ნაოფლარით ჯიბეგასქელებული, ღიპიანი მონოპოლისტები, მშვიდობას „ხოტბას“ ასხამენ უდანაშაულო ხალხთა სისხლში მოსვრილი ამერიკელი გენერლები და სამხედრო მოხელეები. მშვიდობაზე ლაპარაკს ბედავს ბაქტერიოლოგიური ჯარების გენერალი რიჯუეიც.

ამერიკელმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა მშვიდობისათვის ბრძოლის საბაბით შექმნეს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, ამავე საბაბით ქმნიან ისინი ევროპის შეიარაღებულ ძალებს, აღადგენენ დასავლეთ გერმანიის რევანშისტულ არმიას, აღორძინებენ იაპონიის მილიტარიზმს. ახალი ომის გამჩაღებლებს აშკარად როდი შეუძლიათ ბნელი საქმეების კეთება. მათთვის მშვიდობაზე ლაყბობა ის ნიღაბია, რომელსაც იყენებენ ყოველგვარი სისაძაგლის დასაფარავად.

ამას წინათ პრეზიდენტმა ტრუმენმა პრეს-კონფერენციაზე ბევრი ილაყბა მშვიდობის შესახებ და თან აღნიშნა: ვისურვებდი, ჩემი საფლავის ქვაზე იყოს ასეთი წარწერა: „რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა!“. პრეზიდენტი ტრუმენი ამჯერად ცდილობს გული აუჩუყოს ამერიკელ ხალხს. ხალხი მას მიუზღავს დამსახურებისამებრ, და უფრო მეტი გარკვეულობისათვის, ამ ტექსტს ასე შეავსებს: „რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა ამერიკელი მონოპოლისტებისათვის!“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა იწყება პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადება. ტრუმენს სურს შეინარჩუნოს თბილი სავარძელი. ამიტომ ზრუნავს ამერიკის ჯარების შელახული ავტორიტეტისათვის. ამ მიზნით 1952-1953 საბიუჯეტო წელს ამერიკელ ხალხს მოუხდება დამატებით გადაიხადოს 1.300.000 დოლარი. ეს თანხა მოხმარდება მარშალიზებულ ქვეყნებში ამერიკის ჯარებისადმი სიყვარულის პროპაგანდას. ინგლისში უკვე განზრახულია გამოიცეს 2 მილიონზე მეტი ბროშურა.

— შეიყვარეთ ამერიკელი ჯარისკაცები! — ასეთი იქნება ამ ბროშურების საბრძოლო ლოზუნგი.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ დამონებულ ხალხებს არ უყვართ მოძალადე ამერიკელები. იანკებისადმი აშკარა სიძულვილს გამოთქვამენ აზიის ხალხები. სიძულვილის ამ გრძნობას არც ევროპის მშრომელები ფარავენ.

ამერიკელი ჟურნალისტი მარვინ სტოუნი გაზეთ „სტოკჰოლმს-ტიდნინგში“ წერდა, რომ ევროპის მოსახლეობა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარისკაცებს სულ უფრო მტრულად ეპყრობა... „ამერიკელი ჯარისკაცი შესაფერისი ობიექტია კარიკატურისათვის“. მშრომელებმა იციან, რომ ვაშინგტონი ცდილობს მესამე მსოფლიო ომში ჩაბას ევროპა. ამიტომ ისინი ხმას იმაღლებენ და მოურიდებლად მიმართავენ დაუპატიჟებელ სტუმრებს: „ამერიკელებო, წაეთრიეთ ევროპიდან!“.

პრეზიდენტი ტრუმენი დიდ „გულისხმიერებას“ იჩენს ევროპისადმი, მან გადაწყვიტა ევროპაში გადაიყვანოს აზიის ხალხთა ჯალათი, ბაქტერიოლოგიურ ომში გაწაფული გენერალი რიჯუეი. 28 აპრილს პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ტრუმენმა განაცხადა, რომ გენერალი რიჯუეი შესცვლის ეიზენჰაუერს. აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი—ასეთია რიჯუეის ახალი კარიერა.

რით შეაყვარა თავი რიჯუეიმ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს? გენერალმა რიჯუეიმ ყველაზე უხეშად დაარღვია საერთაშორისო შეთანხმებანი, უგულებელყო საერთაშორისო სამართალი და კორეაში გამოიყენა ბაქტერიოლოგიური იარაღი. დასენიანებული მწერებისა და მოსკიტების გენერალმა თავისი მხეცური ბუნებით, არაადამიანური საქციელით აღაშფოთა პროგრესული კაცობრიობა, დაიმსახურა ხალხთა ზიზღი. სწორედ ამიტომ უყვარს იგი პრეზიდენტ ტრუმენს.

„ბაქტერიოლოგიური ომი, — წერს საფრანგეთის პარლამენტის წევრი, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი პიერ კოტი, — საშინელი ბოროტმოქმედებაა, საზიზღარი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე. ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარება არა მარტო ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, იგი ეწინააღმდეგება მორალის ყველა ნორმას, და მისთვის არ შეიძლება მოიძებნოს რაიმე გამართლება“.

ცნობილია, რომ აჩესონმა ვერ გაბედა თვალი გაესწორებინა მოვლენებისათვის და ამჯობინა ცილისწამებად მოენათლა ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ბრალდება. გაერთიანებული ერების ჯარები არავითარ ბაქტერიოლოგიურ იარაღს არ იყენებდნენ და არ იყენებენო, განაცხადა მან.

უფრო გვიან, 11 მარტს, ხალხის პროტესტის ხმით შეშინებულმა რიჯუეიმ უსირცხვილოდ გაიმეორა აჩესონის სიტყვები. რიჯუეის ეშინია პროგრესული კაცობრიობის მართლმსაჯულებისა. იცის, რომ მისთვისაც დადგება განკითხვის დღე, და ამერიკელი მილიონერებისა და მილიარდერებისადმი ერთგული სამსახურით, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა სისხლიანი ანგარიშგასწორებით სურს გაიხანგრძლივოს არსებობის დღენი. ამიტომ უყვარს ტრუმენს გენერალი რიჯუეი.

მეოცე საუკუნის ისტორია მდიდარია ფაქტებითა და მოვლენებით. ეს ფაქტები და მოვლენები უხვ მასალას იძლევა სალი დასკვნების გამოსატანად. ახალი ომის გამჩაღებლებს შეეძლოთ ცოტა რამ ესწავლათ ისტორიის გაკვეთილებით. მათ უნდა იცოდნენ, რომ მაკარტურები, ეიზენჰაუერები და რიჯუეიები ვერ შეაჩერებენ ისტორიის ძლევამოსილ სვლას.

მომავალი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ ხალხებს ეკუთვნის.

აკ. ჩავლეიშვილი

გენერალი რიჯუეი ემშვიდობება ბაქტერიოლოგიურ ჯარისკაცებს



რიჯუეი ბაქტერიოლოგიურ ჯარისკაცებს — **მშვიდობით ჩემო პაწიებო, მუდამ თქვენს ერთგულად მიგულეთ, არ დაგივიწყებთ.**

ნახატი ი. ქოქიაშვილისა

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 29 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლას ყველა ფრონტზე.

გუშინ ცენტრალურ ფრონტზე კიმსონის რაიონში მოწინააღმდეგის ცალკეულმა ქვეგანაყოფებმა ტანკების თანხლებით სამჯერ სცადეს მოეწყოთ დაზვერვა ბრძოლით. მაგრამ ჩვენი ნაწილების ცეცხლმა უკუაქცია მოწინააღმდეგი, რომელმაც დიდი ზარალი ნახა. სხვა ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენი ჯარების საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მოწინააღმდეგის ოთხი ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს ფრონტებზე და ზურგში.

ომის გაგრძელების „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, გერმანიის ერთიანობისათვის

ბერლინი, 29 აპრილი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო კელნიდან გადმოგვცემს, კონგრესის „გერმანელთა ურთიერთგაგებისა და სამართლიანი საბაჟო ხელშეკრულებისათვის“ პრეზიდიუმმა 27 აპრილს კელნში გამართულ სხდომაზე გაილაშქრა ადენაუერის მიერ გამოცხადებული მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერის წინააღმდეგ და მოითხოვა რაც შეიძლება მალე დადებულ იქნას საბაჟო ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობის წინადადებათა შესაბამისად. პრეზიდიუმის მიერ მიღებულ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „საერთო ხელშეკრულების“ შინაარსის შესახებ დღემდე მიღებული ცნობების თანახმად ცხადია, რომ ამ ხელშეკრულების დადების შედეგად გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება შეუძლებელი გახდებოდა. დასავლეთ გერმანია მთლიანად დამოკიდებული იქნებოდა უცხოთის ჯარებზე, რომლებიც გერმანიაში გაურკვეველი დროით დარჩებოდნენ. გერმანიას წარმოადგენდა სუვერენიტეტი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

„საერთო ხელშეკრულების“ დადების შედეგად, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, დასავლეთ გერმანია იძულებით და გაურკვეველი დროით შეუერთდებოდა ატლანტიკის კავშირის სისტემას და იკისრებდა ვალდებულებას ჯარები შეეყვანა ევროპის არმიაში.

მაგრამ, აღნიშნულია განცხადებაში, ხალხი სულ უფრო კარგად ერკვევა მისთვის მოვლენილ საფრთხეში და მზად არის დაიცვას თავისი სიცოცხლე...

გერმანელებმა, ბოლოს, უნდა დაიწყონ მოლაპარაკება გერმანელებთან იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სრულიად გერმანიის ეროვნული კრების თავისუფალი და ფარული არჩევნები, რაც შექმნის მთელი გერმანიის მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ყოველი გერმანელი, ვინც გაერთიანების ხელს უშლის, დამნაშავეა სამშობლოს ღალატში.

ყველა ორგანიზაციამ და გაერთიანებამ, ყველა კავშირმა და ჯგუფმა, ყველა გერმანელმა, რომლებსაც სურთ საზავო ხელშეკრულების დადება გაერთიანებულ გერმანიასთან, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, ახლა ერთობლივად უნდა წარადგინონ მოთხოვნა: ერთიანობა და საზავო ხელშეკრულება „ერთიანი ხელშეკრულების“ ნაცვლად.

იგალიის სელისუფალთა თვითნებობის ახალი აქტი

დი ვიტორიოს დევნა

რომი, 29 აპრილი. (საკდესი). იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა დი ვიტორიომ რომში ჩამოსვლის შემდეგ ვაგზალში განცხადება გაუკეთა ჟურნალისტებს თვითნებობისა და შევიწროების იმ აქტის გამო, რაც ჩაიდინეს პოლიციის ხელისუფლებმა, რომლებმაც მას პასპორტი ჩამოართვეს საზღვარზე.

დი ვიტორიომ თქვა: „პოლიციის კომისარმა, რომელმაც ტარვიზიოში საზღვარზე პასპორტი ჩამომართვა, მიუხედავად ჩემი არაერთი მოთხოვნისა, არავითარი ახსნა-განმარტება არ მომცა. ასეთი ფაქტი იტალიაში პირველად მოხდა ფაშიზმის დამხობის შემდეგ. ეს არის ძალადობის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების აქტი, რომლის გამართლება შეუძლებელია, და აშკარაა, რომ მისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს იმათ, ვინც იგი მოამზადა და ჩაიდინა. საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემთვის პასპორტის ჩამორთმევას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სტატიასთან, რომელიც გაზეთ „პროვედისოფოს“ დავწერე. ეს სტატია, რომელიც „უნიტამ“ ამას წინათ მთლიანად გამოქვეყნა, მე დავწერე ჯერ კიდევ იტალიაში ყოფნისას. „პროვედამ“ იგი გამოქვეყნა 7 მარტს, ხოლო მე საბჭოთა კავშირში ჩავედი 14 მარტს. ბავშვებმაც კი იციან, რომ შეიძლება სტატიების გაგზავნა, რაც შეეხება სტატიის შინაარსს, ყველაფერი, რაც იქ ნათქვამი იყო, მე არაერთხელ მითქვამს და დამიწერია. ჩვენი მმართველების ფანდები, ჩემი აზრით, სავსებით აშკარაა“.

პრეს-კონფერენციაზე, რომელიც დღეს გაიმართა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობის შენობაში, დი ვიტორიომ განაცხადა: მთავრობამ გადაწყვიტა საზღვარგარეთ ჩემი გამგზავრება გამოიყენოს იმისათვის, რომ გასწოს პოლიტიკური სპეკულაცია, რათა საზღვი გაუტეხოს ორ ორგანიზაციას, რომელთა წარმომადგენელი მე ვარ — იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, და ამისათვის არ მოერიდა არაკონსტიტუციურ, უკანონო მოქმედებას.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საკანონმდებლო ორგანოს წევრისათვის პასპორტის ჩამორთმევა საკანონმდებლო კორპუსზე ზემოქმედების უკანონო საშუალება და პარლამენტის წევრის პირადი თავისუფლების შეზღუდვის ცდაა.

დი ვიტორიომ განაცხადა, რომ იგი მოითხოვს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ჩარევას პარლამენტის წევრთა უფლებების დასაცავად. იტალიის მთავრობა ცდება, განაცხადა დასასრულ დი ვიტორიომ, თუ ფიქრობს, რომ თვითნებობის ასეთი აქტებით შეუძლია ხელი შეუშალოს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მუშაობას.

დემოკრატიული პრესა იუწყება, რომ პარლამენტის წრეებში პოლიციურ დევნას, რასაც დი ვიტორიო განიცდის, აშკარად გმობენ. პარლამენტის წევრთა ჯგუფმა ნენის მეთაურობით გადაწყვიტა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს გრონკის წინაშე მოახდინოს დემარში პარლამენტის წევრთა უფლებებისა და მათი ხელშეუხებლობის დასაცავად.

გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ შელბას ბრძანებით დაწყებული დევნის პასუხად დი ვიტორიოს სახელზე მიღებულია სოლიდარობის ასობით დეპეშა და რეზოლუცია ფლორენციის, მილანის, რომისა და სხვა ქალაქების მშრომელებისაგან. ამავე დროს მშრომელებმა საპროტესტო დეპეშები გაუგზავნეს რესპუბლიკის პრეზიდენტს და პალატისა და სენატის თავმჯდომარეებს.

ფინეთის პრემიერ-მინისტრ კეკონენის გამოსვლა სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 29 აპრილი. (საკდესი). გუშინ სტოკჰოლმში საზოგადოება „ნურდენის“ მიერ მოწვეულ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ფინეთის პრემიერ-მინისტრმა კეკონენმა. მან გააშუქა ფინეთის ეკონომიური მდგომარეობის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები.

კეკონენმა განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა კავშირთან ფართო საქონელგაცვლის მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას, თქვა მან, ომისშემდგომ მძიმე წლებში განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა და კვლავ უკავია ფინეთის საგარეო ვაჭრობაში. ეს ვაჭრობა რომ არ იყოს, ნედლეულისა და სურსათის მომარაგება დაუძველეველ სიძნელეებს წააწყდებოდა. საბჭოთა კავშირთან ფართო, თავისუფალი საქონელგაცვლის განხორციელება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ომის შემდეგ ფინეთის ეკონომიკის საქმეში.

გადავიდა რა ფინეთის საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის საკითხებზე, კეკონენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინეთის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უცხოეთთან სტაბილურ ურთიერთობას. როცა ახლანდელი პრეზიდენტი პასიკივი 1944 წლის შემოდგომაზე პრემიერ-მინისტრი გახდა, მან აღნიშნა, რომ ფინეთის ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური ამოცანაა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთნდობაზე დამყარებული კეთილმეზობლური ურთიერთობის მიღწევა. ამ პროგრამას გამოეხმაურა საბჭოთა კავშირი და მას მოჰყვა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულება, რომელიც საზავო ხელშეკრულებასთან ერთად საფუძველს უქმნის ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ხელშეკრულება შეიცავს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურის მუხლებს. სამხედრო მუხლების თვით დედაარსი ის არის, რომ ფინეთმა და საბჭოთა კავშირმა გარკვეული წინაპირობებით სამხედრო დარგში უნდა ითანამშრომლონ ფინეთის ტერიტორიაზე, თუ ფინეთმა აგრესია განიცადა.

კეკონენმა აღნიშნა, რომ სამხედრო შეთანხმება, რომელიც ხელშეკრულებაში შედის, ერთადერთი როდია ჩრდილოეთ ევროპის ისტორიაში.

ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს შედარება იმ სამხედრო კავშირთან, რომელიც შვეციასა და რუსეთს შორის დაიდო 1724 წელს მას შემდეგ, რაც დამთავრდა დიდი ომების პერიოდი. ეს შედარება, თქვა კეკონენმა, ცხადყოფს, თუ რატომ ვიცავთ ჩვენ მტკიცედ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების იმ პაქტს, რომელიც საბჭოთა კავშირთან დავდეთ, აგრეთვე იმ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელიც გამოხატულებას პოულობს ამ პაქტით. ამის მიხედვით ფინეთს მიაჩნია, რომ მან მტკიცე და სამშვიდო პოზიცია მოიპოვა თავის საგარეო პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირთან ნდობით აღსავსე ჩვენი თანამშრომლობა ხელს არ უშლის ჩვენს ჩრდილოეთელ მოძმე ხალხებთან, უწინარეს ყოვლისა შვეციასთან არსებულ ურთიერთგაგებას, ისევე როგორც ნაკლებად ახდენს გავლენას ჩვენს დასავლეთელ ძველ მეგობრებთან არსებულ გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაზე.

ბულგარეთის ნოტა თურქეთისადმი

სოფია, 30 აპრილი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთის მისიას სოფიაში გადასცა საპროტესტო ნოტა, რომელშიც ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ გახშირდა თურქეთის სასაზღვრო ხელისუფალთა მიერ თურქეთ-ბულგარეთის საზღვრისა და ბულგარეთის საჰაერო სივრცის დარღვევის შემთხვევები. ნოტაში ჩამოთვლილია 8 ასეთი შემთხვევა მიმდინარე წლის 10 იანვრიდან 30 მარტამდე განვლილ პერიოდში.

თურქეთის სასაზღვრო ორგანოების მიერ თურქეთ-ბულგარეთის საზღვრის დარღვევის ასეთივე შემთხვევები იყო, ნათქვამია ნოტაში, 1951 წელს. მაგრამ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც მაშინ ეს დარღვევები შემთხვევითად მიაჩნდა, საჭიროდ არ ცნო პროტესტი განეცხადებინა თურქეთის მთავრობისათვის.

საზღვრის დარღვევის ახალი შემთხვევები, რომლებიც ბოლო დროს გახშირდა და რომლებსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, ცხადყოფენ, რომ ეს შემთხვევითი არ არის, არამედ წინასწარ მოწყობილია თურქეთის ხელისუფალთა მიერ თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე დაძაბულობის ხელოვნურად შექმნის მიზნით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი მთავრობის დავალებით პროტესტს აცხადებს იმ პროვოკაციების წინააღმდეგ, რომლებსაც თურქეთის ხელისუფალნი აწყობენ თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე და მტკიცედ მოითხოვს, რომ თურქეთის მთავრობამ მიიღოს საჭირო ღონისძიებანი მომავალში მათი თავიდან აცილებისათვის.

თბილისის სამხატვრო აკადემიის მე-6 კურსის სტუდენტი მიხეილ ყიფიანი სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას; მ. ყიფიანი აქარდაკებს სტალინური პრემიის ლაურეატის აგრონომ სიმონ მახათელაშვილის პორტრეტს.

ფოტო რ. აკოფოვისა

მცენარეთა დარგვის საგაზაფხულო გეგმა შესრულებულია

წელს გაზაფხულზე თბილისის გამწვანების ტრესტმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ქალაქში მწვანე ნარგავთა გაშენების საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა. დარგო 173.525 ძირი დეკორაციული ხე და ბუჩქი, 1.565 ძირით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

მწვანე ნარგავთა გაშენებაში დაწინაურდა ორჯონიკიძის რაიონის გამწვანების სექცია, რომელსაც აგრონომი ალისა ფხაკაე ხელმძღვანელობს. ამ რაიონში ნარგავთა გაშენების საგაზაფხულო გეგმა შესრულებულია 119 პროცენტით. კარგ მაჩვენებელს მიაღწიეს აგრეთვე სტალინის, ბერიას, მოლოტოვისა და კიროვის რაიონული საბჭოების გამწვანების სამუშაოთა სექციებმა.

ქალაქის დანარჩენ უბნებში დარგულია: ვაკის პარკის ტერიტორიაზე — 26.784 ძირი ხე და ბუჩქი, მთაწმინდის სატყეო კულტურის რაიონში—13.000 ძირი და ა. შ.

გარდა ამისა 6 აპრილს—ტყის დღეს ქალაქში დარგულ იქნა 257.000 სხვადასხვა ჯიშის ხე და 28.000 ძირი ბუჩქი.

ირმის ჯოგი ბორჯომის ნაკრძალში

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის ტყეებში, სადაც წინათ გავრცელებული იყო ე. წ. კავკასიის კეთილშობილი ირემი, რომელიც შემდეგ თითქმის გადაშენდა, ახლა კვლავ მომრავლდა ჩვენი ფაუნის ეს მშვენება, ისევე გახშირდნენ ირმის ჯოგები. ირმის მომრავლებას ხელი შეუწყო საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა—ირემზე ნადირობის აკრძალვამ, საკვები მოედნების მოწყობამ, ხელოვნური სამარილეების ქსელის გაკეთებამ და ბორჯომის ტყეების სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადებამ.

1933 წელს, როდესაც ნაკრძალად გამოცხადდა ბორჯომის ტყეები და იქ სანადირო მეურნეობა მოეწყო, აღრიცხულ იქნა მხოლოდ რამდენიმე ათეული სული ირემი. ერთი წლის შემდეგ აღრიცხულ იქნა 100 სული, ხოლო სამამულო ომის წინა 1940 წელს—900 სული. უკანასკნელი აღრიცხვის მიხედვით ნაკრძალში 2.000-მდე ირემია, მათ შორის 346 ხარ-ირემი.

ჯოგის დაცვის უზრუნველსაყოფად ნაკრძალში მოწყობილია სადარაჯო პუნქტები და მუშაობს გამოცდილ მონადირეთა 4 ბრიგადა, რომლებიც ნაკრძალში არ უშვებენ მტაცებელ ნადირს.

ქუთაისის ცენტრალური საქალაქო ბაღის კეთილმოწყობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის მშრომელებმა საპირველმაისოდ მნიშვნელოვნად გაამშვენიერეს ქალაქის ცენტრალური ბაღი.

ბაღში განახლებულია განათების ქსელი, დადგმულია მძლავრი ელექტროლამპიონები, მოშანდაკებულია ასფალტირნო გზები, გაკეთებულია ნიაღვარსადენი, დადგმულია სკამები, გაშენებულია ყვავილნარები და ა. შ. ბაღის ნარგავთა მასივი წელს 3.293 ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარითა და 25.000 ძირი ბუჩქით შეივსო. განახლებული და რეკონსტრუირებულია ბაღის ღობე.

საპირველმაისო ზეიმის მიგებულებელი

დიდი სახალხო სეირნობანი

1 მაისს შედგება საზაფხულო სეზონის გახსნა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ფუნიკულორის პლატზე).

სეზონის გახსნის აღსანიშნავად 1 და 2 მაისს პარკში მოეწყობა დიდი სახალხო სეირნობა და კონცერტი. პირველ დღეს კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ პ. ამირანაშვილი, მ. ნაკაშიძე, ს. ჯაფარიძე, მ. შილდელი, ვ. კეკელია და სხვ., მეორე დღეს — ე. აფხაიძე, გ. საღარაძე, ლ. კავსაძე, დები ომსნელები და დედაქალაქის სხვა საუკეთესო საესტრადო ძალები.

პარკში მოწყობილია ატრაქციონები, საბავშვო კუთხეები, მრავალნაირი მასობრივი გასართობი.

1 მაისს გაიხსნება საზაფხულო სეზონი აგრეთვე ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

1 და 2 მაისს სეზონის გახსნა აღინიშნება დიდი სახალხო სეირნობის მოწყობით და მრავალფეროვანი კონცერტით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო საესტრადო ძალები.

მაისობა მცხეთაში

საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო საქმართველოს თბილისის საექსკურსიო ბაზა 2 მაისს მცხეთაში აწყობს მასობრივ მაისობას. მაისობაში მონაწილეობის მსურველები თბილისიდან გადაყვანილ იქნებიან მატარებლებით და ავტობუსებით.

მაისობის მონაწილენი დათვალიერებენ მცხეთის ძეგლებს, არმაზის ხევში მოწყობილი არქეოლოგიური გათხრების ადგილს, ჯვრის მონასტერს, როგორც ქართული კლასიკური არქიტექტურის ნიმუშს და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

შემდეგ მოეწყობა ცეკვები და მასობრივი გართობანი.

ვაჭრობა 1 და 2 მაისს

თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებს დაეკისრათ 1 მაისს — მშრომელთა საპრიველმაისო დემონსტრაციებისას ქუჩებსა და მოედნებზე სავაჭროდ გამოუშვან ავტომობილი-დუქნები და ხელზე დამტარებლები, რომლებიც გაყიდიან ბულკებს, ბუტერბროდებს, პაპიროსებს, გამაგრილებელ სასმელებსა და ტაბილეულს.

2 მაისს ეს ავტომობილი-დუქნები და ხელით დამტარებლები გაიგზავნებიან მასობრივ მასობათა ადგილებში. ამ დღეს პურის სავაჭრო ქსელი ქალაქში იმუშავებს ისევე, როგორც კვირა-დღეებში.

თეატრებში

1 მაისს

ოპერისა და ბალეტის — სინათლე (მე-8 ა.); **რუსთაველის სახელობის** — რვალი; **მარჯანიშვილის სახელობის** — მისი ვარსკვლავი; **გრიბოედოვის სახელობის** — ოცდაათი ვერცხლი (50-ე, 51-ე ა.); **სომხური დრამის**—ქალიშვილი ლუსაკერტიდან; **მუსიკალური კომედიის**—ტრუმბიტა; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კიკვიძე; **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ქორწინება (5 ს.); **სანკულტურის**—მაის წყაროო; **ფილარმონიის** — მოლდავეთის ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრის კონცერტი (საზამთრო თეატრი); **ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

2 მაისს

ოპერისა და ბალეტის—დუბროვსკი (დილით), ჯამბაზები (საღამოს, მე-11 ა.); **რუსთაველის სახელობის**—რვალი (დილით), პეპო (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — მისი ვარსკვლავი (დილით), ლამაზი მამაკაცი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ომით მხარეში (დილას და საღამოს, სალამოს 62-ე, 63-ე ა.); **სომხური დრამის**—ქალიშვილი ლუსაკერტიდან (დილით), საიათნოვა (საღამოს); **მუსიკალური კომედიის**—ტრუმბიტა (დილით), ჩემი გიუზელი (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კიკვიძე (12 და 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რ. ვ. ს. (10 და 1 ს.), დუბროვსკი (6 ს.); **თოჯინების ქართული** — წიქარა (1 ს.), ურჩი გია (3 ს.); **სანკულტურის**—ჩვენი ახალგაზრდობა; **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

3 მაისს

ოპერისა და ბალეტის — ქოშები (პრემიერა, მე-12 ა.); **რუსთაველის სახელობის** — დიდი ხელმწიფე; **მარჯანიშვილის სახელობის** — რევიზორი; **გრიბოედოვის სახელობის** — ტოროლები გალობენ; **სომხური დრამის** — ფაქიზი განცდები; **მუსიკალური კომედიის** — ცანის დედოფალი; **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — სამწიფის მოწმობა (7 ს.); **თოჯინების ქართული** — დათუნაის ქოხი (11½ და 1 ს.); **სანკულტურის** — ერთი ოჯახის ისტორია; **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი“, „ისანი“ — ახალგაზრდობის სამღერები; **„ოქტომბერი“, „თბილისი“, 26 კომისრის სახელობის**—ქართული სიმღერები და ცეკვები; **„სპარტაკი“, კიროვის სახელობის პარკი** — ბერლინის დაცემა; **„კომკავშირელი“** — გაზაფხულის ნაკადი; **„დიდუბე“** — მოსკოვს დაშორებთ; **„კოლმეურნე“** — შეხვედრა ელბაზე; **„კოლხიდა“** — საპარტიზანო მეეტლე.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — პირველ მაისი.

ბრძანება სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა. ბრძანება სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეექვსე ტომი ქართულ ენაზე.

მეორე გვერდი — სტალინური პრემიების გადაცემა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებისათვის.

ს. დერბინი — მშვიდობს, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ა. კურსკოვი — წერილი დიადი მშენებლობიდან.

მ. პლიევა — ჩვენ მშვიდობიანი ადამიანები ვართ.

მესამე გვერდი — გ. ტაბიძე— ჩვენ პირველ მაისს ვუმღერით (ლექსი).

ნ. ნოვიცკი — სიტყვა ქარხნის შესახებ მ. დავითაშვილი — 1952 წლის გაზაფხული. შრომის ვეტერანები. საკავშირო შეჯიბრების მოწინავენი.

ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე — ბავშვებს მშვიდობა სჭირდებათ.

მეოთხე გვერდი — დღიური — ნ. რუბეკინი—სიმართლე და სიცრუე. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვებლის — 3-81-65, გამოცემლობისა — 3-51-81, ტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЭ 00291